პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 31 (10425) | კვირა, 5 თებერვალი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში დასახულია ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია მთელი სახალხო მეურნეობის და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის — მძიმე მრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, მიმდინარეობს დირექტივების პროექტის ფართოდ განხილვა. მხურვალედ იწონებენ რა დირექტივების პროექტს, ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ავლინებენ ახალ დიდ რეზერვებს, რომლებიც სახალხო მეურნეობის წიაღშია, შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს და საქართველოს სს რესპუბლიკის ქარხნებისა და ფაბრიკების ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს მოუწოდეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

თბილისის მოწინავე საწარმოთა ამ მოწოდებამ ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში. ახლა მთავარი ის არის, რომ უნარიანად ჩავუდგეთ სათავეში მასების შრომითს აღმავლობას, მოქნილად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ მასობრივად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ შეჯიბრების ორგანიზაციულ მხარეს, უზრუნველვყოთ მასში საწარმოს ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსის, მოსამსახურეების ჩაბმა, კოლექტივებს შეუქმნათ ყველა პირობა აღებულ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დირექტივების პროექტით მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 65 პროცენტით. ჩვენს რესპუბლიკაში როგორც მთელი მრეწველობის, ისე რესპუბლიკური მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1,6-ჯერ უნდა გადიდდეს.

ამ გრანდიოზული პროგრამის შესრულება მეტწილად დამოკიდებული იქნება შრომის ნაყოფიერების განუხრელ აღმავლობაზე.

დირექტივების პროექტით 1956-1960 წლებისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდა გათვალისწინებულია 50 პროცენტით, რაც უნდა განხორციელდეს უმთავრესად საწარმოების ტექნიკური შეიარაღების ზრდისა და მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყოველი ღონისძიებით გაფართოების, მოწყობილობის მოდერნიზაციის, საწარმოთა სპეციალიზაციის ფართოდ განვითარებისა და ამ საფუძველზე წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვის, შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებისა და სამუშაო დროის დანაკარგების ლიკვიდაციის, აგრეთვე დამხმარე სამუშაოებზე შრომის ხარჯვის შემცირების გზით.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა საწარმოს აქვს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობანი. საქმე მხოლოდ ის არის, რომ გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ წარმოების უმდიდრესი შინაარსსურსები, რომლებიც ჩვენს მრეწველობას მოეპოვება. უწინარეს ყოვლისა ყველგან უნდა მივაღწიოთ, რომ ფართოდ დაინერგოს ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია. ამ და სხვა დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში დიდი როლი ეკუთვნით სამინისტროებს, მთავარ სამმართველოებს, ტრესტებს, რომლებიც ღრმად უნდა სწვდებოდნენ საწარმოთა მუშაობის სპეციფიკას და უწევდნენ მათ ქმედითს დახმარებას.

პარტია გვასწავლის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარია ჩამორჩენილთა წამოწევა, მუშაობაში მაგალითის აღება საუკეთესოთაგან, საერთო აღმავლობის მიღწევა. ამიტომ საჭიროა მთელი ძალღონით დავუჭიროთ მხარი წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა პროგრესულ თაოსნობას, კიდევ უფრო ფართოდ გავავრცელოთ მათი გამოცდილება მშრომელთა ფართო მასებში. ამასთან საჭიროა ამთავითვე გადაჭრით ვიბრძოლოთ მუშაობაში ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, გაბედულად გამოვაშკარაოთ და აღმოვფხვრათ ისინი, დავძლიოთ ყველა სიძნელე, რომელიც ხელს უშლის მუშაობას.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების საარსებო მოვალეობაა აამაღლონ წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დონე, დაეხმარონ თვითეულ მუშაკს დაეუფლოს შრომის მოწინავე მეთოდებს, შეუქმნან შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს საწარმოო ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების პირობები.

პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებათა მთავარი მიზანი ახლა უნდა იყოს მეექვსე ხუთწლედის დირექტივების პროექტის შინაარსისა და მნიშვნელობის ახსნა-განმარტება, რათა დავრაზმოთ მშრომელები დიად სამუშაოთა გეგმების შესასრულებლად. ამასთან მასებში პოლიტიკური მუშაობა მეექვსე ხუთწლედის ამოცანების გარშემო უნდა მივიჩნიოთ არა როგორც ხანმოკლე კამპანია, არამედ როგორც მთელი პროპაგანდისა და აგიტაციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ხანგრძლივი დროისათვის. მასებში პოლიტიკურმა მუშაობამ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, უნდა გაუძლიეროს ადამიანებს მისწრაფება იშრომონ რაც შეიძლება უკეთ, განუვითარონ მათ შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, ხელი შეუწყოს შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, გეგმების შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის!

მ ი მ ა რ თ ვ ა

ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეებისა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჭარულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა 1955 წელს 1954 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება გაადიდეს ერთიორად, შაქრის ჭარხლისა—2,8-ჯერ, მზესუმზირასი—2,9-ჯერ, რძისა—ერთნახევარჯერ და მეტად, აგრეთვე გაადიდეს ხორცის, მატყლისა და კვერცხის წარმოება. ყოველივე ამან საშუალება მისცა ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ვადამდე, მნიშვნელოვანი გადამეტებით შეესრულებინათ მარცვლეულის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, კარტოფილის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა.

ეს პირველი შედეგები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, თუ რა უდიდესი რეზერვები და შესაძლებლობანი აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმისათვის, რომ უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე ეს განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი შესაძლებლობანი ჰქონდათ აგრეთვე მკვეთრად გაედიდებინათ ხორცის წარმოება და მისი ჩაბარება და მიყიდვა სახელმწიფოსათვის. მაგრამ ეს შესაძლებლობანი არ იყო გამოყენებული. ამის შედეგად ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სერიოზულად ჩამორჩებიან ხორცის წარმოებაში.

ამავე დროს არის შესანიშნავი მაგალითები, როცა მეურნეობის გონივრული გაძღოლისას, მოკლე ვადებში მკვეთრად გაიზარდა ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოება და სასაქონლო გამოსავალი.

ბობროვის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1955 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღეს 35,8 ცენტნერი ხორცი, ნიჟნედევიცკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მე-13 წლისთავში“ — 34,8 ცენტნერი, სემილუკის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 33,9 ცენტნერი. 100 ჰექტარ ნახნავზე ღორის ხორცის მაღალ გამოსავალს მიაღწიეს პავლოვსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ—28,5 ცენტნერი, სემილუკის მე-16 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ — 27,4 ცენტნერი, ლევაია როსოშის რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“—21,8 ცენტნერი.

ხორცისა და ღორის ხორცის წარმოების უფრო მაღალი დონე აქვთ მოწინავე საბჭოთა მეურნეობებს. სემილუკის რაიონის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ 1955 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღო 232 ცენტნერი ხორცი, აქედან 100 ჰექტარ ნახნავზე 238 ცენტნერი ღორის ხორცი, ბუტურლინოვკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „დამკვრელმა“ მიიღო 129 ცენტნერი ხორცი, მათ შორის 144 ცენტნერი ღორის ხორცი.

თუ რა უდიდესი შესაძლებლობანია საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოების გასაადიდებლად, შეიძლება დავინახოთ საბჭოთა მეურნეობა „მასვლოვსკის“ მაგალითით. ამ საბჭოთა მეურნეობაში 1954 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღეს 98 ცენტნერი ხორცი, აქედან ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე 73 ცენტნერი ღორის ხორცი, ამასთან გასასუქებლად მიღებულია სახელმწიფოსაგან 60 პროცენტი კონცენტრირებული საკვები. 1955 წელს, შეცვალა რა ნათესი ფართობების სტრუქტურა და დათესა 1.311 ჰექტარი სიმინდი, საბჭოთა მეურნეობამ მარცვლეული კულტურების მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ აიღო 23,8 ცენტნერი, მთლიანად უზრუნველყო პირუტყვი საკვებით და ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღო 126 ცენტნერი ხორცი, აქედან ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე 108 ცენტნერი ღორის ხორცი. ამან შესაძლებელი გახადა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება 1954 წლის 5 ათასი ცენტნერიდან 1955 წელს გადიდებულიყო 6.800 ცენტნერამდე.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა 1956 წელს აწარმოოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 16,2 ათასი ცენტნერი ხორცი, აქედან 14,7 ათასი ცენტნერი ღორის ხორცი, ანუ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით 300 ცენტნერი ხორცი, აქედან 100 ჰექტარ ნახნავზე 270 ცენტნერი ღორის ხორცი. ღორის ხორცს ასეთი რაოდენობით საბჭოთა მეურნეობა მიიღებს უწინარეს ყოვლისა ერთჯერადი დედაღორების დაგოჭიანების ფართოდ განხორციელებით. ახალგაზრდა დედაღორები მოგვცემენ ერთ დაგოჭიანებას, ხოლო შემდეგ მთელი ნამატი და თვით დედაღორები დაყენებულ იქნება გასასუქებლად და ჩაბარდება სახელმწიფოს. საბჭოთა მეურნეობაში მოწყობილია ღორების მთელ წელიწადს შენახვა ბანაკებში. ახლა ბანაკებში არის ორი ათასზე მეტი ერთჯერადი დედაღორი და გასასუქებელი ჯგუფის ღორი.

მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ოლქის ბევრ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას ხორცის წარმოების დაბალი დონე აქვს. შარშან ოლქის 254 კოლმეურნეობამ მიიღო 5 ცენტნერზე ნაკლები და საბჭოთა მეურნეობების მესამედა 20 ცენტნერზე ნაკლები ღორის ხორცი 100 ჰექტარ ნახნავზე, ხოლო მთლიანად ოლქის კოლმეურნეობებმა 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 ოქტომბრამდე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღეს მხოლოდ 15,7 ცენტნერი ხორცი, აქედან 100 ჰექტარ ნახნავზე მხოლოდ 6,2 ცენტნერი ღორის ხორცი. კოლმეურნეობებმა გასუქეს, სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს ღორის მიღებული ნამატის მხოლოდ მეექვსედი ნაწილი, ხოლო გოჭების ძირითადი ნამატი რეალიზებული იყო უმთავრესად ძუძუთა ასაკში სხვადასხვა საჭიროებისათვის.

ჩვენ გვესმის, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანა სურსათით მოსახლეობის მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შესახებ მოითხოვს ხორცის წარმოების გადიდების იმ ღონისძიებათა უფრო სწრაფად შესრულებას, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა.

ვუმზადებთ რა ღირსეულ შეხვედრას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას და განვიხილავთ რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტს, ჩვენ ვიანგარიშეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ, რომ 1956 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველა სახეობის ხორცის წარმოება, სახელმწიფოსათვის ჩაბარება და მიყიდვა გაორკეცდება 1955 წელთან შედარებით.

ჩვენ ვისახავთ აგრეთვე ამოცანას მნიშვნელოვნად გავადიდოთ რძის წარმოება. გასულ ორ წელიწადში კოლმეურნეობებმა თვითეული ძროხის წველადობა გაადიდეს 708 კილოგრამით, ხოლო საერთო წველადობა გადიდდა ერთიორად და მეტად. მიმდინარე სამეურნეო წლის 4 თვეში თვითეული ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში შეადგენს 358 კილოგრამს ნაცვლად 180 კილოგრამისა გასული წლის შესაბამის პერიოდში, ხოლო საერთო წველადობა გადიდდა ერთიორად და მეტად. **ვიანგარიშეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ ერთიორად გავადიდოთ წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელიწადნახევრის მანძილზე, ესე იგი 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1957 წლის 1 აპრილამდე.**

ახლა ჩვენ შეგვიძლია ასეთი ამოცანის შესრულება იმიტომ, რომ ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გამდიდრდა საკუთაო საკვები ბაზა.

საკვები ბაზის განმტკიცების გადამწყვეტი პირობა [illegible] სესი, უხვმოსავლიანი მარცვლეული და საკვები კულტურის ნათესების ძნიშვნელოვანი გაფართოება, როგორიც სიმინდია. 1955 წელს ოლქის კოლმეურნეობებში დაითესა 238 ათასი და საბჭოთა მეურნეობებში 44 ათასი ჰექტარი სიმინდი და თითქმის ყველგან ძიღებულია აქ კულტურის მწვანე მასისა და მარცვლის უხვი მოსავალი. ამან საშუალება მოგვცა ჩაგვედო კოლმეურნეობებში 619 ათასი ტონა სილოსი და დაგვეკონსერვებინა 212 ათასი ტონა რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროები, რაც შეადგენს საშუალოდ 6,8 ტონა სილოსს ყოველ ძროხაზე, და საკმაო რაოდენობით დაკონსერვებულ ტაროებს ღორების გასასუქებლად. საბჭოთა მეურნეობებში ჩადებულია 162 ათასი ტონა სილოსი და დაკონსერვებულია 33 ათასი ტონა ტაროები. გარდა ამისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებ ბალანსში მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის სიმინდის ხმელ მარცვალს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხორცის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია მეღორეობის, როგორც მეცხოველეობის ყველაზე ძალემზარდი დარგის ყოველი ღონისძიებით განვითარება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1956 წელს გავასუქოთ კოლმეურნეობებში სულ ცოტა 512 ათასი ღორი 1955 წლის 105,4 ათასის ნაცვლად და საბჭოთა მეურნეობებში — 177 ათასი ღორი შარშანდელი 82,1 ათასის ნაცვლად. ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე კოლმეურნეობებში სულ ცოტა 20 ცენტნერი ღორის ხორცი 1955 წლის 6,2 ცენტნერის ნაცვლად და საბჭოთა მეურნეობებში — 74 ცენტნერი შარშანდელი 34,8 ცენტნერის ნაცვლად.

იმისათვის, რომ მივიღოთ და გავასუქოთ ამდენი ღორი, ჩვენ, კოლმეურნეობებში არსებული 48,5 ათასი და საბჭოთა მეურნეობებში არსებული 5,6 ათასი ძირითადი დედაღორის გარდა უზრუნველვყოფთ გაზაფხულზე 70 ათასი ერთჯერადი დედაღორის დაგოჭიანებას და წლის პირველ ნახევარში მივიღებთ იმდენ გოჭს, რამდენიც საჭიროა მიმდინარე წელს გასასუქებლად და სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად. სულ 1956 წელს ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაგოჭიანებენ 115 ათასზე მეტ ერთჯერად დედაღორს. მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა ღორების ერთჯერადი დაგოჭიანება ეკონომიურად ხელსაყრელია, ერთჯერადი დედაღორებისაგან მიღებული გოჭების თვითღირებულება, დაახლოებით, ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ძირითადი დედაღორებისაგან მიღებული გოჭების თვითღირებულება.

ერთჯერადი დედაღორების დაგოჭიანებასთან ერთად ჩვენ მივიღებთ აგრეთვე ღონისძიებებს, რომ ძირითადი დედაღორები გაზაფხულზე დაგოჭიანების შემდეგ დამაკდნენ ძუძუს წოვების პერიოდში. ეს საშუალებას მოგვცემს მათგან ნამატი მივიღოთ ჩვეულებრივზე 4-5 კვირით ადრე.

ჩვენ განზრახული გვაქვს კონცენტრირებულ საკვებთან ერთად ღორების გასაზრდელად და გასასუქებლად ფართოდ გამოვიყენოთ იაფი მწვანე და წვნიანი საკვები; თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მწვანე კონვეიერში დავთესავთ სიმინდს, შაქრის ჭარხალსა და პარკოსან ბალახებს. ეს საშუალებას მოგვცემს გავაიაფოთ თვითეული ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება.

ჩვენ არ გვყოფნის შენობები, რომ მოვათავსოთ გასასუქებელი ღორის სულადობა. ამიტომ ღორის მოვლა-შენახვისა და ერთჯერადი დედაღორების დაგოჭიანებისათვის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ავაშენებთ გამარტივებული ტიპის ბანაკებსა და გასასუქებელ მოედნებს. საბჭოთა მეურნეობა „მასლოვსკის“ გამოცდილებისამებრ ვაწყობთ ღორების მთელი წლის განმავლობაში გასუქებას ამ მარტივ და იაფ ნაგებობებში. ჩვენ დაახლოებით 30 პროცენტით გავადიდებთ აგრეთვე არსებული საღორეების ფართობის გამოყენებას გასასუქებელი სულადობისა და ერთჯერადი დედაღორების ჯგუფური მოვლა-შენახვის გზით. ღორების ბანაკური მოვლა-შენახვა და არსებული საღორეების ფართობის უკეთ გამოყენება გაადიდებს მეღორეობის ფერმების მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას.

ღორის ხორცის წარმოების გადიდების არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებასთან ერთად ჩვენ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გავაუმჯობესებთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის გაზრდას, საძოვრებზე გასუქებას და ბაგურ კვებას, აგრეთვე სახორცე ფრინველის გაზრდას.

ხორცის დამზადების გადიდება უმთავრესად მოხდება იმით, რომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულებთ სახელმწიფოსათვის შესასყიდი ფასებით ხორცის მიყიდვის გეგმას, რაც მკვეთრად გადიდებს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალს. თუ რა მალე შეიძლება გავადიდოთ შემოსავალი ღორის ხორცის წარმოების გზით, ამას ნათლად გვიჩვენებს პავლოვსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილება. ამ კოლმეურნეობამ 1955 წელს გაასუქა, ჩააბარა და მიჰყიდა სახელმწიფოს 1.400 სახორცე ღორი, რომელთა საშუალო წონა 90-95 კილოგრამი იყო, მეღორეობის ფერმისაგან მიიღო 1.120 ათასი მანეთი შემოსავალი. ეს შეადგენს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის მესამედს.

ახლა კოლმეურნეობებისათვის ხელსაყრელია რაც შეიძლება მეტი ხორცი მიჰყიდონ სახელმწიფოს შესყიდვის ანგარიშში. ახლა, როცა სახელმწიფოს შესყიდვის წესით მიჰყიდის სავალდებულო ჩაბარების გეგმის 30 პროცენტზე მეტ ხორცს, კოლმეურნეობას ეძლევა ფულადი წანამატი შესასყიდი ფასის 20 პროცენტის ოდენობით.

ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში უეჭველად არის იმის შესაძლებლობა, რომ მოკლე ვადაში მკვეთრად გაადიდონ ხორცისა და რძის წარმოება.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად ჩვენ, ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვალდებულებას ვკისრულობთ ვადამდე შევასრულოთ ამოცანა, რომელიც მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტში დასახულია ხორცისა და რძის წარმოების გასადიდებლად, სახელდობრ ხორცის წარმოება გავაორკეცოთ არა ხუთ წელიწადში, არამედ ერთ წელიწადში და რძის წარმოება გავაორკეცოთ წელიწადნახევარში. მტკიცედ ვიბრძოლებთ აგრეთვე მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

წინადადებით მივმართავთ ჩვენი სამშობლოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარებისა და მიყიდვისათვის, რათა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხის მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე, მრეწველობისა — ნედლეულზე. ამ ამოცანის გადაწყვეტა ღირსეული წვლილი იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

მიმართვა განხილული და მიღებულია ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კრებებზე.

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის წევრები

3 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის წევრები. დელეგაციას მეთაურობს სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარე ფ. კოზოვსკი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ბ. პოპზლატკევი, ნ. გეორგიევი, ე. ეენევა, ნ. ბალკანჯიევი, ა. ხ. გენოვი, დ. პოპოვი, ტ. სტოიანოვი, ხ. რადევსკი, ხ. დასკალოვი, ს. პოპოვი, ვ. ე. პეიკოვი, კ. ი. მიშეევი, ვ. ა. პეტროვა.

კ. ე. ვოროშილოვი გულთბილად მიესალმა სტუმრებს, უსურვა მათ წარმატებანი მუშაობაში, სოციალიზმის მშენებლობაში და რწმენა გამოთქვა, რომ სახალხო კრების დეპუტატები, ისევე როგორც მთელი ბულგარელი ხალხი, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ მეგობრობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან და იბრძოლებენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებმა გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ. მეგობრული, გულითადი საუბრის მსვლელობაში სახალხო კრების დეპუტატებმა განაცხადეს, რომ სსრ კავშირში მოგზაურობის დროს მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა უმაღლესი შრომითმა ღმაღლობამ, საბჭოთა კავშირის მიღწევებმა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში. ამის ნახვა შეიძლებოდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ ბევრ საწარმოში, რომლებიც მათ დაათვალიერეს რიგაზანში, იაროსლავლში, ლენინგრადში, სტალინგრადში, დონის როსტოვში, ჩელიაბინსკში, თბილისში, უფაში, ფრეთვე რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს კოლმეურნეობებში. ბულგარელმა სტუმრებმა ალაპარაკეს იმაზე, რომ საწარმოთა და კოლმეურნეობათა მხატვრული თვითმოქმედების ბევრ კოლექტივს, რომლებიც მათ გაიცნეს, სავსებით შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ პროფესიულ კოლექტივებს.

დეპუტატების სიტყვით, მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა გმირმა ქალაქმა სტალინგრადმა, რომელიც ხელახლა აშენდა ამ ადგილას, სადაც სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა. ახლა ეს ქალაქი კიდევ უფრო მშვენიერი გახდა ვიდრე წინათ იყო. სტუმრებმა აღნიშნეს საბჭოთა ხალხის გულითადობა და ძმური მიღება, რომელიც მათ გაუწიეს ყველგან სსრ კავშირში ყოფნის დროს.

საუბრის დასასრულს ფ. კოზოვსკიმ დელეგაციის წევრთა სახელით მხურვალედ მიულოცა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს დაბადების 75 წლისთავი და უსურვა კ. ე. ვოროშილოვს ჯანმრთელობა და მრავალი წლის სიცოცხლე.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. ფ. ლევიჩკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ბულგარელი და საბჭოთა ჟურნალისტები. (საკ.).

მოსკოვს ჩამოვიდა მარშალი ჯუ დე

4 თებერვალს მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე და მისი თანმხლები პირები: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ნე ჟუნ-ჯენი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრი ლიუ ლან-ტაო, მრჩეველი ში ჯე და სხვები.

საბჭოთა კავშირის საზღვრიდან სტუმრებს თან ახლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი ვ. ი. ფომინი.

ბელორუსიის ვაგზალში, რომელიც მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, მარშალ ჯუ დეს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. ჟურდიუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

მარშალ ჯუ დეს შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო და საელჩოს თანამშრომლები. ვაგზალში იყვნენ აგრეთვე მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში.

პერონზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილემ მარშალმა ჯუ დემ სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან. მან თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ძლიერ ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა დიდი პატივი ვწვეოდი ჩვენს დიდ მოკავშირეს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს და მესალმებენ ამ შემთხვევით, რათა თქვენთვის და საბჭოთა კავშირის ხალხისათვის გადმოგეცა

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

ახალი ტექნიკისათვის ბრძოლაში

ჰორიზონტალურად ჩაკეტილი კონვეიერი

...ტექნიკური საბჭოს სხდომა მიმდინარეობს. მაგიდა ნახაზებით არის სავსე.

შარშან მრავალი ტექნიკური სიახლე განხორციელეს თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში, ნაყოფიც მოიმკეს — სახელმწიფო დავალებები ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით გაანაღდეს. ტყავისა და მასალების დიდი ეკონომია გასწეს.

ახლა მთელ ფაბრიკაში ტექნიკურად ყველაზე ჩამორჩენილი მეხუთე საამქროა. იგი უფრო კუსტარულად მოწყობილ დიდ სახელოსნოს მოგვაგონებს, ვიდრე თანამედროვე მექანიზმებით აღჭურვილ საწარმოს. აქ ყველაზე პატარა მომხმარებლების — ორ წლამდე ასაკის ბავშვების ფეხსაცმელი იკერება.

და აი ტექნიკური საბჭო სწორედ ამ საამქროს რეკონსტრუქციის პროექტს განიხილავს. სხდომას მთავარი ინჟინერი ნ. კლინჯიანი თავმჯდომარეობს. ინჟინრებსა და ტექნიკოსებს გარდა, აქ წარმოების ნოვატორებიც არიან — გადამჭიმავი შიო ანდღულაძე, მღარავი არჩილ ბუგაიანიძე, გამომგონებელი გრიგოლ კახპაროვი, მექანიკოსი ალექსანდრე ფეიქრიშვილი.

ტექნიკური განყოფილების ინჟინერი ნადია კოტაშვილი, რომელიც პროექტს აცნობს, ხანგამოშვებით იცქირება მის წინ გაშლილ დიდ ნახაზში და ფანქრის წვერით ოდნავ ეხება ათასნაირი პირობითი ნიშნებით — პაწაწკინტელა სამკუთხედებითა და კვადრატებით აჭრელებულ ქაღალდს.

...ახალი აგრეგატი ჰორიზონტალურად ჩაკეტილი ნაკადის პრინციპზეა აგებული. თუ აქამდე სხვა შემკერავი კონვეიერის მხოლოდ ერთი მხარეა გამოყენებული და ერთ ხაზზე მუშაობენ, ახლა ამ ნაკადის ორივე მხარე დაატვირთება. აგრეგატის გაყოლებით იმოძრავებს საკიდრები, რომლებიც ხელით გასაგორებელი ვაგონეტების მაგიერ თვითონ გადაიტანენ განთავისუფლებულ კალაპოტებს. ფაბრიკაში დღემდე თვითეული კონვეიერი მხოლოდ ერთი სახის ფეხსაცმელს ამზადებს, რეკონსტრუქციის შემდეგ კი ამ საამქროში ორი სახის ფეხსაცმელს გამოუშვებს — ბავშვისას და ოთახში ჩასაცმელს. მარტო ამ კონვეიერზე ფეხსაცმელი 60 ოპერაციას გაივლის და ბოლოს გამზადებული და ყუთებში ჩაწყობილი საპაერო ტრანსპორტიორით მზა ნაწარმის საწყობში გადაეცემა.

ახალი აგრეგატის ამუშავებით ერთნაბეკარჯერ გაიზრდება პროდუქციის გამოშვება. სიახლე, რომლის დანერგვაც განიზრახეს თბილისელმა მეფეხსაცმლეებმა, ჯერჯერობით მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადის ფეხსაცმლის რამდენიმე ფაბრიკაშია განხორციელებული. ასეთი კონვეიერის მთელ მოწყობილობას,—დამთავრა კოტაშვილმა,—მთლიანად ჩვენი ძალებით დავამზადებთ ფაბრიკის მექანიკურ და სადურგლო სახელოსნოებში. კონვეიერის რეკონსტრუქცია როგორც კი დაიწყება, უაღრესად მოკლე დროში — 15-20 დღეში უნდა დამთავრდეს.

ბჭობდნენ დიდხანს, გულდასმით, საქმიანად. პროექტის თვითეულ დეტალს ჩაჰკირკიტებდნენ. ზოგი ცვლილებაც შეიტანეს. მაგალითად, პროექტით ვერტიკალური საშრობის მოწყობა იყო გათვალისწინებული, მაგრამ საწარმოო ფართობის უკეთ გამოყენებისათვის საშრობი კონვეიერქვეშ გადაიტანეს.

წინ ჯერ კიდევ დიდი და სერიოზული სამუშაოა — ტექნიკური პროექტის შედგენა, სამუშაო ნახაზების გამზადება. და სხდომის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ რეკონსტრუქციის მთელი პროექტი 14 თებერვლისათვის— მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის დაამთავრონ.

* * *

სურათზე: კონტროლიორი ლ. კირეევა წინა პლანზე — მარჯვნივ) ამოწმებს მესამე საამქროს მოწინავე მუშის დ. კასაბურის მიერ შესრულებულ სამუშაოს ხარისხს.

ფოტო შ. ვოქაძისა.

ზეგეგმითი ქვანახშირისათვის

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელელი მეშახტეები დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში განიხილავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს.

ტყვარჩელელმა ნოვატორმა გამყვანმა ნ. ხაჭიპერაძემ იკისრა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განაღდება. მისი მაგალითისამებრ გადიდებული ვალდებულებები იკისრა მესამე შახტის ყველა მოწინავე მეშახტემ.

მეორე შახტის კოლექტივმა იკისრა 1956 წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 8.000 ტონა ქვანახშირი და ამთავითვე მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე წარმატებით განაღდებას.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა ვალდებულება აიღო პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის — 14 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 3.500 ტონა ქვანახშირი.

ვაღაზე ორი დღით ადრე

ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავენ ჭიათურელი მაღაროელები პარტიის XX ყრილობის გახსნის წინა დღეებს. განსაკუთრებით დაწინაურდა სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც იანვრის გეგმა ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულა.

ამ მაღაროს კოლექტივმა იკისრა პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5 ათასი ტონა მარგანეცი. დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი.

ასობით ტონა ფეროშენაღნობი გეგმის გადამეტებით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური ნეტალურგები ახალ წარმატებებს აღწევენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ფეროშენაღნობთა ქარხნის კოლექტივმა იანვრის დავალება 27 რიცხვისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა და ნახევარ მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგა, საგრძნობლად გაზარდა ღუმელების წარმადობა.

ქარხნის ყველა საამქრო წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. საუკეთესო შედეგები აქვთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც ხელძღვანელობენ ი. აბესაძე, გ. ნანიტაშვილი, ს. კვინიკაძე, ვ. გეწაძე და სხვები.

გასულ თვეში მეტალურგებმა ასობით ტონა მაღალხარისხოვანი შენადნობები მისცეს სამშობლოს.

მეავეჯეთა სოციალისტური ვალდებულებანი

ამიერკავკასიის რკინიგზის ავეჯეულობის ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი და იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი.

მეავეჯეებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს მისცენ 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება, რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით გასწიონ 50 ათასი მანეთის ეკონომია, მოაწყონ ავეჯის წინასწარი კვანძური აწყობის საამქრო, აითვისონ სამზარეულოს კარადების დამზადება, სკკპ XX ყრილობისათვის აითვისონ და სერიულად გამოუშვან ცალკარადიანი საწერი მაგიდები მოსახლეობისათვის.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს შეხვდნენ სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი აღმავლობით. ქალაქის 14 უდიდესი საწარმოს და მათ შემდეგ ბევრი სხვა ქარხნისა და ფაბრიკის კოლექტივებმა სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და პირობა დადეს, რომ ვადამდე შეასრულებენ 1956 წლის სახელმწიფო დავალებებს.

ამ დღეებში შეიდგა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვისადმი. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. მაღრაძე.

— დირექტივების პროექტით, — თქვა მომხსენებელმა, — დასახულია საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიადი ამოცანები. ამ ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს თბილისის მრეწველობამ, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის ეკონომიკაში.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ მეხუთე ხუთწლედის გამავლობაში ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, 1955 წელს 1950 წელთან შედარებით მიაღწიეს სამრეწველო წარმოების ზრდას დაახლოებით 60 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 30 პროცენტით. მეექვსე ხუთწლედში სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები კიდევ უფრო გაძლიერებენ ბრძოლას წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

დირექტივების პროექტი, რომელშიც მკაფიოდ არის გამოხატული პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ადამიანების განუწყვეტელ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის, ითვალისწინებს სამუშაოთა უდიდეს გაჯეროვნებას საბინაო მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობის, საქონელბრუნვის ზრდისა და სავაჭრო ქსელის გაფართოების, მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში. მარტო საქალაქო საბჭოს ხაზით ხუთწლედის მანძილზე ნავარაუდევია საეკასპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 60 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია დიდი სამუშაოები ქალაქის გარეუბნების კეთილმოსაწყობად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ზონებში. მაგალითად, 1956 წელს მოასფალტებულ და მოკირწყლულ იქნება 400 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ქუჩები და ტროტუარები. ამ მიზნებისათვის უნდა აშენდეს ასფალტ-ბეტონის ქარხანა, რომლის სიმძლავრე იქნება წელიწადში 60 ათასი ტონა ასფალტის მასა.

მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა ექნება ვეროზნო-თბილისის გაზსადენს, რომლის მშენებლობის დაწყება გათვალისწინებულია დირექტივების პროექტით. ფართოვდება ტრამვაი-ტროლეიბუსის ხაზების ქსელი.

მიმდინარე წელს საეკსპლოატაციოდ გადაცემულ იქნება ორი ახალი წყალსადენი ნატახტარის წყაროებისა და თბილისის წყალსაცავის ბაზაზე.

პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ალანიამ ილაპარაკა რაიონის მშრომელთა ინიციატივაზე, რომელიც გამოიწვია პარტიის XX ყრილობისათვის მზადებამ და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტმა. მან აღნიშნა, რომ მეექვსე ხუთწლედში დასახული ამოცანები მოითხოვენ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლებას. სამი ათასზე მეტი აგიტატორი ახლა რაიონის მშრომელებს განუმარტავს დირექტივების პროექტს. ისინი მასებს რაზმავენ 1956 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად.

თავის გამოსვლაში ამხ. ალანია ლაპარაკობს აგრეთვე იმის შესახებ, რომ აუცილებელია ქალაქში გაფართოვდეს ტექნიკუმების და სპეციალიზებული საშუალო სკოლების ქსელი, აგებულ იქნას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი საწარმოო შენობები.

— მომდინარე წლის 1 მაისისათვის, — თქვა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. კიზიკაძემ, — ჩვენ უნდა ავითვისოთ და გამოვუშვათ მაღალი წარმადობის 10 ახალი ჩარხის მოდელი, „163“ მოდელის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების საცდელი პარტია, რათა 1957 წლიდან მთლიანად გადავიდეთ ამ ჩარხების სერიულ გამოშვებაზე.

ქარხნის კოლექტივი, ჩაება რა სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისა და 1956 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, იბრძვის იმისათვის, რომ ხუთი პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგოს 250 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 150 ტონა პარობითი სათბობი, აუშენოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ესტაკადა და 30-ტონიანი ხიდური ამწე, ვადამდე შეასრულოს საერთო პროდუქციისა და ძირითადი ნომენკლატურის 1956 წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მოწინავე გამოცდილების დანერგვასთან, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები აღძრა თავის გამოსვლაში ფაბრიკა საკტრიკოტაჟის დირექტორმა ამხ. ა. ანტონოვამ. მან წინადადება წამოაყენა დირექტივების პროექტში გათვალისწინებულ იქნას სატრიკოტაჟო მრეწველობის შემდგომი განვითარება რესპუბლიკაში, განსაკუთრებით თბილისში, გაკარტიკა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომლის აპარატშიც არ არის სატრიკოტაჟო საქმის არცერთი სპეციალისტი, რაც იწვევს სერიოზულ ნაკლოვანებებს საწარმოსადმი ხელმძღვანელობაში.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია დიდი ამოცანები სამშენებლო ინდუსტრიის, საშენი მასალების წარმოების დარგში. ამის შესახებ ილაპარაკეს აქტივის კრებაზე საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. ხამბახიძემ, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. რ. ნინიძემ და სხვებმა. ისინი დაწვრილებით შეჩერდნენ საშენ-მასალათა მრეწველობის საწარმოების მუშაობაზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც დაკავშირებულია მეექვსე ხუთწლედში ადგილობრივი საშენ-მასალების, ბეტონის, ბეტონის ნაკეთობათა და თვითღირებულების შემცირებასთან, ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა და საკედლე ბლოკების, აგურის, ცემენტის, საძგიდე ნაკეთობათა, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების ზრდასთან.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვით. მაგრამ მისი დამუშავება პრიმიტიულად, კუსტარულად წარმოებს. ეს იწვევს დიდ მატერიალურ დანახარჯებს, აძვირებს ქვის თვითღირებულებას. ამიტომ ამხ. ზამბახიძე აყენებს საკითხს, რომ მეექვსე ხუთწლედში მექანიზებულ იქნას ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვის დამუშავების სამუშაოები, რესპუბლიკაში აშენდეს ამ ძვირფასი საშენი მასალის დამამუშავებელი საწარმო.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. დ. აბუთიძემ აქტივის კრების მონაწილეებს უამბო იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელსაც ადგილი აქვს საწარმოში ყრილობისწინა დღეებში. წარმატებით შესრულდა იანვრის დავალება. ორთქლმავლის ამწყობმა სამჭედველის გადამეტებით გამოუშვა რემონტიდან ერთი ორთქლმავალი, სამჭედლის საამქროს — ორთქლმავლის ორი ქვაბი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატი ჩქაროსანი ხარატი ი. ჭუმბურიძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 350-400 პროცენტით ასრულებს. მაღალნაყოფიერად მუშაობენ სხვა კომუნისტებიც. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, იყენებს რა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს, რაზმავს კოლექტივს იმ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც ქარხანამ იკისრა სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ჩქაროსანმა ხარატმა ამხ. ფ. ცომბალმა თბილისელ ავტოშემკეთებელთა სახელით ილაპარაკა ომზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს ლენინის რაიონის კეთილმოწყობის საშუშაოები.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრება. გარეუბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. კორახაშვილმა მოუთხრა აქტივს, თუ როგორ შეუწყობს ეს ღონისძიება ხელს რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ზემო სამგორის სარწყავი სისტემა თბილისის ახლოს მდებარე ამ ეამად უნაყოფო მიწებს გადააქცევს აყვავებულ ბაღებად და ნაყოფიერ მინდვრებად, შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ ქალაქის მცხოვრებლები ახალი ბოსტნეულით, ხილით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის დირექტორი ამხ. გ. მღებრიშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი ამხ. ს. კონიაშვილი და სხვები.

კრებამ აქტიურად, დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომელშიც გამოხატულია თბილისის მშრომელთა განუხრელი ნება და მტკიცე მისწრაფება ღირსეული წვლილი შეიტანონ სამეეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ დიადი ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით.

სოფლების ელექტროფიკაცია

დღითიდღე ფართოვდება საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია. ელექტროშუქით გაჩირაღდნებულია გურჯაანის, ჯეჯრეთის, სიღნაღის რაიონების ყველა კოლმეურნეობა. დაახლოებით 80 პროცენტით ელექტროფიცირებულია თელავის, გორის, ამბროლაურის, ცაგერის რაიონების სოფლები.

დასახულია საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაციის გაშლილი პროგრამა. წელს ამ სამუშაოზე დაიხარჯება 32 მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრები. საეკსპლოატაციოდ გადაეცემა 4.000 კილოვატი სიმძლავრის სასოფლო ელექტროსადგური, მათ შორის კახარეთპესი (ადიგენის რაიონი), სალხინოპესი (გაგრის რაიონი), მაჭახელაპესი (ბათუმის რაიონი) და სხვ. ელექტროფიცირებული იქნება 85 კოლმეურნეობა და 5 მტს-ი.

საკოლმეურნეო წარმოების ელექტროფიკაციის (მეცხოველეობისა და მემინდვრეობის დამხმარე წარმოების მექანიზაციის) მიზნით სოფლად დაიდგმება ათასზე მეტი ელექტრომოტორი.

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

სოციალისტური მრეწველობა ზრდის გრანდიოზული ტემპით ხასიათდება. 1955 წელს სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 27-ჯერ, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდა 60-ჯერ. სსრ კავშირის მრეწველობა ვითარდება ისეთი მაღალი ტემპით, როგორიც მიუღწეველია კაპიტალისტური მრეწველობისათვის. მაგალითად, 1954 წელს ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის მოცულობა 1929 წელთან შედარებით გაიზარდა 18-ჯერ, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი გაიზარდა 2,1-ჯერ, ინგლისში — 72 პროცენტით, საფრანგეთში — 14 პროცენტით და იტალიაში — 77 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმმა გამოავლინა ჩვენი მრეწველობის მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოციალისტური მრეწველობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

სოციალისტური მრეწველობის შემდგომი ზრდის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებია დასახული სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. განზრახულია სამრეწველო პროდუქციის ზრდა მეექვსე ხუთწლედში განისაზღვროს 65 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა 70 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოების ზრდა 60 პროცენტით.

მრეწველობის განვითარების ამ დიდი ამოცანის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ პირობას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ყოველმხრივი ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ჩვენი პარტია ეყრდნობა დიდი ლენინის გენიალურ მითითებას, იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, რომ კაპიტალიზმი შეიძლება დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას.

* * *

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მოძღვრება განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების არსს, იძლევა მისი ზრდის გზებსა და პირობებს. შრომის ნაყოფიერების გადიდება ნიშნავს შრომის პროცესის ისეთ ცვლილებას, როცა პროდუქტის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო მცირდება და შრომის შედარებით ნაკლები რაოდენობა გვაძლევს პროდუქციის მეტ რაოდენობას.

პროდუქციის რაოდენობის ზრდაზე შრომის ნაყოფიერების გარდა გავლენას ახდენს შრომის ინტენსივობაც. მაგრამ შრომის ინტენსივობის ზრდის დროს პროდუქტების რაოდენობა იზრდება ისე, რომ დიდდება მათი ღირებულების ჯამიც, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის დროს ღირებულების იგივე ჯამი გამოიხატება პროდუქციის გადიდებულ მასაში და ამ გზით მცირდება პროდუქციის ერთეულის ღირებულება.

ცალკეულ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციათა შესაბამისი ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედება განსაზღვრავს შრომისა და მისი ნაყოფიერების ეკონომიურ ხასიათს.

კაპიტალიზმის პირობებში, მის წინამორბედ ეკონომიურ ფორმაციებთან შედარებით, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია უფრო მტაცებლურ ხასიათს ატარებს, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდას ხალხის ძარცვისა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნებისათვის იყენებენ.

კაპიტალისტისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდა საინტერესოა იმ შემთხვევაში, თუ იგი ადიდებს მუშათა ზედმეტ სამუშაო დროს; ამდენად კაპიტალიზმის პირობებში შრომის ნაყოფიერების ზრდას აბსოლუტური მნიშვნელობა არა აქვს. კაპიტალისტი მეტად ფრთხილად ეკიდება შრომას, რომელიც საქონელშია გასაგნობრივებული, ხოლო შეუბრალებლად ფლანგავს ადამიანის ნერვებსა და კუნთებს.

სოციალისტური წარმოების დროს არსებობს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის არა მარტო აუცილებლობა, არამედ ეკონომიური შესაძლებლობაც. სოციალიზმი შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთ შესაძლებლობას ქმნის, რაც მიუღწეველია წინა ეკონომიური ფორმაციებისათვის. სოციალისტურ წარმოებაში არსებობს და მოქმედებს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის ეკონომიური კანონი.

ჩვენში საბჭოთა ხუთწლედების მანძილზე კომუნისტური პარტია იყენებდა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის ეკონომიურ კანონს და აღწევდა სოციალისტური წარმოების მძლავრ აღმავლობას. 1955 წელს შრომის ნაყოფიერების დონე გაიზარდა დაახლოებით ორჯერ ომამდელთან შედარებით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი სოციალისტურ მრეწველობაში გაცილებით მაღალია, ვიდრე კაპიტალისტურ მრეწველობაში. შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით ჩვენ უკვე დავეწიეთ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამოცანა ახლა ის არის, რომ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპს და მნიშვნელოვნად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერების დონე.

ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდაზე მოქმედი ფაქტორები, გამოვავლინოთ შინაგანი რეზერვები და უნარიანად გამოვიყენოთ ისინი.

შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს კ. მარქსის დებულება იმის შესახებ, რომ „შრომის მწარმოებლური ძალა განისაზღვრება მრავალნაირი გარემოებით, სხვათა შორის მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციით, წარმოების საშუალებათა მოცულობითა და ქმედუნარიანობით და ბუნებრივი პირობებით“. (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954 წ. გვ. 55-56).

მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო დებულებების მიხედვით შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედებენ შემდეგი სამი ჯგუფის ფაქტორები: 1. მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვასა და წარმოების საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორები; 2. წარმოების კადრების კვალიფიკაციისა, მათს კულტურულ-ტექნიკურ დონესა და საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული ფაქტორები და 3. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ფაქტორები.

შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მოქმედ ფაქტორთა პირველი ჯგუფის წრეს (მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, წარმოების საშუალებათა გამოყენება) ეკუთვნის: 1. ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანა-დანადგართა დანერგვა წარმოებაში; 2. საწარმოო პროცესთა მექანიზაცია-ავტომატიზაცია; 3. მანქანა-დანადგარების გამოყენების გაუმჯობესება და მოცდენათა ლიკვიდაცია; 4. საწარმოო ფართობების რაციონალური გამოყენება; 5. მუშათა ტექნიკური და ენერგეტიკული შეიარაღების გაუმჯობესება; 6. მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა; 7. ტექნოლოგიური დისციპლინის განუხრელად დაცვა და ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომია.

მეორე ჯგუფს (წარმოების კადრების კვალიფიკაცია, მათი კულტურულ-ტექნიკური დონე და საყოფაცხოვრებო პირობები) მიეკუთვნება: 1. წარმოების მუშაკთა შემადგენლობა; 2. წარმოების მუშაკთა მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება; 3. კადრების სიმყარე და დენადობის ლიკვიდაცია; 4. წარმოების მუშაკთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ფაქტორთა მესამე ჯგუფს (წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია) ეკუთვნის: 1. წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება; 2. ნაკადური წარმოება; 3. ტექნიკური ნორმირება; 4. ხელფასის ორგანიზაცია; 5. შრომის დისციპლინის განმტკიცება; 6. რიტმულობა; 7. სოციალისტური შეჯიბრების გაშლა და რაციონალიზატორთა მოძრაობის გაფართოება; 8. კოლექტიური ხელშეკრულებათა შესრულება და შრომის დაცვა; 9. სარემონტო მეურნეობის ორგანიზაცია.

* * *

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ტექნიკური პროგრესის საკითხს და მიაჩნდა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის მიღწევა შეუძლებელია, თუ ყოველმხრივ არ ვითარდება მსხვილი მანქანური წარმოება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმმა შრომის ნაყოფიერების ზრდის ძირითად პირობად დასახა მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის განხორციელების უზრუნველყოფა.

მეექვსე ხუთწლედში განზრახულია შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ამაღლდეს 50 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდა მიღწეულ უნდა იქნას მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, წარმოების პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციის განხორციელებით, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის განმტკიცებით და ა. შ.

სოციალისტურ მრეწველობაში შეუნელებლად ხორციელდება ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანა-მექანიზმებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა.

ტექნიკური პროგრესის ზრდა დიდი ღონისძიებანი ხორციელდება საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში. მაგალითად, 1955 წელს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ათი ახალი ჩარხი იქნა დადგმული და ათვისებული. თავისუფალი ჭედ

საკოლმეურნეო შრომის ზეიმი

ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

ჯუმათი მახარაძის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე სოფელია. საკოლმეურნეო შრომამ ბედნიერი და ხალისიანი გახადა ჯუმათელი გლეხების ცხოვრება.

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ჯუმათში. კოლმეურნეები ახალი წარმატებებით ეგებებიან სკკპ XX ყრილობას. მათ ახარებთ, რომ სასახელოდ დამთავრეს გასული სამეურნეო წელი და საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავალს.

საკოლმეურნეო შრომის ნამდვილი ზეიმი იყო ამ კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამას წინათ შედგა. ამ სოფლის მკვიდრმა — აგრონომმა, საკოლმეურნეო წარმოების უნარიანმა ორგანიზატორმა ამხ. მ. ტაკიძემ საანგარიშო მოხსენებაში თქვა:

— მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების დადგენილებათა განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი არტელი განმტკიცდა როგორც მეურნეობრივად, ისე ორგანიზაციულად. კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანა და კეთილსინდისიერად მოიხადა ვალი სახელმწიფოს წინაშე. შემოსავლის მთავარ წყაროს — ჩაის კულტურას 262 ჰექტარი უჭირავს; აქედან 222 ჰექტარი სრულმოსავლიანია. გასულ წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 838.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით — 81.000 კილოგრამი. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 3.800 კილოგრამი, რაც 400 კილოგრამით მეტია 1954 წელთან შედარებით. მარტო ჩაით მიღებულია 8.300.000 მანეთი შემოსავალი. კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს პირველად შეასრულა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის დავალება. გეგმის გადამეტებით ერთ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 116 ლიტრი რძე. მთავარი ყურადღება დავუთმეთ სიმინდის კულტურის განვითარებას. შარშან სიმინდი გვეთესა 182 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 19 ცენტნერზე მეტი მოსავალი. ბრიგადებმა, რომლებსაც ჯ. მექვაბიშვილი და დ. შარაძე ხელმძღვანელობენ, ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

მომხსენებელმა ილაპარაკა კოლმეურნეობის წარჩინებულ ადამიანებზე. აღსანიშნავია, რომ ამჟამად კოლმეურნეობის 5 ბრიგადა მილიონერია. ესენი არიან დ. შარაძის, ო. ხოფერიას, შ. ჩხარტიშვილის, ვ. ჩხარტიშვილის, კ. მექვაბიშვილის ბრიგადები. ჩაის ფოთლის კრეფის დავალებათა სანინუმოდ შესრულებაში სახელი გაითქვეს უხვი მოსავლის ოსტატებმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვერა მექვაბიშვილმა, ნატალია ხინთიბიძემ, სულიკო ტაკიძემ, ციალა ჩხარტიშვილმა, ლიზა მექვაბიშვილმა, შურა ხლაბუსტოვმა და სხვებმა.

საგრძნობლად ამაღლდა კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების დონე. 14 კოლმეურნემ ახალი ორსართულიანი ოდა-სახლი აიშენა. კოლმეურნე ნ. ჩხარტიშვილის ოჯახმა გამოიმუშავა 1.438 შრომადღე და ფულად მიიღო 47.494 მანეთი, გარდა ამისა მიიღო 5.454 კილოგრამი მარცვლეული, ე. ჩხარტიშვილის ოჯახმა მიიღო 40.000 მანეთი, ვ. მითაიშვილის ოჯახმა — 35.000 მანეთი. ასეთი ოჯახები აქ ბევრია.

კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 9.728.000 მანეთი შეადგინა და 1.278.000 მანეთით გადააჭარბა 1954 წლის შემოსავალს. შრომადღეზე განაწილდა 33 მანეთი, ხოლო პრემიის ჩათვლით — 35 მანეთი, ნატურით — 3,8 კილოგრამი მარცვლეული.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც კოლმეურნეობის გამგეობას საანგარიშო პერიოდში ჰქონდა.

მოხსენების გამო გაიმართა ცხოველი კამათი. კრებაზე აღინიშნა, რომ მთელი შესაძლებლობა არ იყო გამოყენებული კოლმეურნეობის ეკონომიკის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისათვის.

კოლმეურნე ი. დოლიძემ სამართლიანად გააკრიტიკა კოლმეურნეობის ხელმძღვანელების მუშაობა და განაცხადა, რომ ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას და სოფლის ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას საკოლმეურნეო შრომაში. ფაქტია, რომ საშუალო განათლების მქონე ბევრი ახალგაზრდა თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, უსაქმოდ ატარებს დროს. გამგეობის უყურადღებობით კოლმეურნეობის სანერგეში იყო შრომადღეების უკანონოდ დარიცხვის შემთხვევები, ნაკლები ყურადღება ექცევა ჩაისა და ციტრუსოვანი პლანტაციების დაცვას პირუტყვისაგან, ვხედებით სასარგებლო მცენარეთა გაჩეხვის ფაქტებს.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში სასამთრო სამუშაოების ტემპის გაძლიერებაზე ილაპარაკეს კოლმეურნეებმა გრიგოლ, მირიან და ვლადიმერ მითაიშვილებმა.

კოლმეურნეობასა და მტს-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების შედეგებზე მოხსენება გააკეთა მახარაძის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ჯ. სამსონიამ.

კრებამ, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში. აირჩიეს გამგეობის ახალი შემადგენლობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ. მ. ტაკიძე.

კრების მიერ მიღებულ ღონისძიებებში ნათქვამია:

1956 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 4.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.200 ლიტრი რძე, სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 23 ცენტნერი სიმინდი, სახელმწიფოს ჩაბარონ 3 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე უზრუნველყონ ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდება.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ვ. მუხინას ნამუშევართა გამოფენა

ყოველდღიურად ასობით დამთვალიერებელი მოდის საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერიაში, სადაც გახსნილია გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ვერა იგნატეს ასულ მუხინას სამშობლოთა გამოფენა.

მნახველები ცხოველი ინტერესით ათვალიერებენ გამოფენაზე წარმოდგენილ სხვადასხვა უანრის ექსპონატებს. მათ თვალწინ ცოცხლდება მთელი გალერეა გმირებისა, ადამიანებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, დიდ სამამულო ომში, მშვიდობიანი ცხოვრების მშენებლობაში, გამოჩენილი ადამიანებისა — კომპოზიტორებისა, მწერლებისა, მეცნიერებისა, ისტორიული გმირებისა და სხვ. სულ გამოფენილია 150 ქანდაკება.

მუხინა აქტიურად ეხმაურებოდა ყველა დიდ საზოგადოებრივ მოვლენას, ქმნიდა ამ მოვლენის შესაფერის სკულპტურულ ნაწარმოებებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თემას მან მიუძღვნა რევოლუციის ამსახველი შესანიშნავი ქმნილებანი. ამ მხრივ აღსანიშნავია ესკიზი ჯგუფისათვის „რევოლუციის ალი“, სვერდლოვის ძეგლის პროექტი (ბრინჯაო) და სხვ. შემდგომ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს შორის გამოფენაზე გამოირჩევა ქანდაკება „გლეხი ქალი“, რომელმაც მაღალი შეფასება და გამოხმაურება დიამსახურა. მაგრამ განსაკუთრებით მოუხვეჭა სახელი ვ. მუხინას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ქანდაკებამ „მუშა და კოლმეურნე ქალი“, რომელიც ემბლემად აქვს წამძღვარებული მოსკოვის გორკის სახელობის კინოსტუდიის ფილმებს. ეს ქანდაკება აღმართულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ შესასვლელთან.

ძლიერად ამეტყველდა მუხინას საჭირო სამამულო ომის წლებში. ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ქანდაკება „პარტიზანი ვოგონა“, „დიდება დალუპულ გმირებს“, „სევასტოპოლის შუქურა“, პოლკოვნიკ ი. ლ. ხიუნიკის, პოლკოვნიკ ბ. ა. იუსუპის და სხვათა პორტრეტები.

დიდი მოქანდაკე მთელი რიგი ნაწარმოებებით გამოხმაურა პროგრესულ ადამიანთა ბრძოლას მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ. გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. მუხინას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილი ქანდაკება „მშვიდობა“.

ვ. მუხინა მარტო მოქანდაკე როდი იყო. ის იყო შესანიშნავი გრაფიკოსიც. გამოფენაზე წარმოდგენილია მისი 2.000-მდე გრაფიკული ნაწარმოები, აგრეთვე მრავალი დეკორაციული ესკიზი, ხალიჩები, შესანიშნავი მხატვრული მინის ჭურჭელი.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲙᲣᲚᲒᲣᲠᲘᲡ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად კეთილმოწყობილი ხდება ზუგდიდის რაიონის სოფლები. შენდება ახალი კლუბ-სამკითხველოები, სოფლის ქუჩები მშვენდება გაზონებითა და ბორდიურებით, ლამაზდება სასოფლო ცენტრები, იდგმება ლამპიონები, სოფლები კინოფიცირებული და რადიოფიცირებული ხდება.

სოფელ რიყეში ამჟამად არის სასოფლო ბიბლიოთეკა და სამკითხველო, რადიოკვანძი, საშუალო სკოლა, კოლმეურნეობის აგურის ქარხანა, რომელიც წლიურად 300 ათას აგურს უშვებს, ელექტროწისქვილი, სახერხი ქარხანა და სხვ. კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის სახსრებით აშენდა 10-ოთახიანი კაპიტალური საკოლმეურნეო კანტორა.

წელს დამთავრდა მშენებლობა კულტურის სახლისა, რომლის დარბაზი 500 კაცისათვის არის გათვალისწინებული. მის მშენებლობას რიყის კოლმეურნეობის გამგეობამ განუყოფელი ფონდიდან მილიონ სამასი ათასი მანეთი მოახმარა. მასში მოთავსდა სოფლის კლუბ-სამკითხველო. გაიშალა საწრეო მუშაობა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ს. კლდიაშვილი — *ერთტომეული.* საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 7.000, გვ. 642, ფასი 12 მან. 60 კაპ.

შ. ღოდღაძე — *ქართველი მეტალურგები,* ტექნიკა და შრომა, 1955 წ., გვ. 239, ტირაჟი 3.000, ფასი 4 მან. 25 კაპ.

ხ. ბერულავა—*რჩეული თარგმანები,* საბჭოთა მწერალი, 1955 წ. გვ. 128, ტირაჟი 3.000, ფასი 2 მან.

ი. ციციშვილი — *ქართული არქიტექტურის ისტორია.* ლექციების მოკლე კურსი. ტექნიკა და შრომა, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 115, ფასი 21 მან.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ — *ტექსტი* დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. სახელგამი, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 463, ფასი 33 მან. 50 კაპ.

საბჭოთა მშენებლობა

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ

სარკმლიდან მზის სხივი პატარა სამუშაო ოთახში შეიჭრა, საწერი მაგიდის მინაზე გადატყდა და იქვე მჯდომი ქალის ჯღარა თმას მიუალერსა.

მარგარიტა ყარყარაშვილმა საღამური ლამპა ჩააქრო და სარკმლის ფარდები გადასწია. დღის სინათლემ თვალი მოსჭრა ელექტროშუქზე მოწყურებულს. „გთენებულა კიდეცო“, გაიფიქრა, საათს დახედა. 7 სრულდებოდა. მაგიდიდან ქიმიური ანგარიშებით აჭრელებული ფურცლები აალაგა, ხელპირი დაიბანა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა დედის საწოლს. მძინარეს შუბლზე ხელი გადაუსვა. შვილის ალერსმა მოხუცი გააღვიძა. მშობლის მზრუნველ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩა შვილის დაღლილი სახე და ჩვეულებისამებრ აბუზღუნდა.

— შეტისმეტს კი ნუ იზამ, შვილო. ცოტა შენს თავსაც მიხედე. აბა, შეხედე რას გავხარ, ღამეების ტეხვისაგან ადამიანის ფერი არ გადევს.

— შენ ისევ ძველებურად დაიწყე, — შეაწყვეტინა მოხუცს მარგარიტამ. — არა უშავს რა, დედი, სამაგიეროდ კიდევ ერთი ახალი ქიმიური ანალიზი გავაკეთე. ახლა კი მივდივარ. თუ ვინმემ მიკითხოს, 4 საათამდე სამსახურში ვიქნები.

შეაღო თუ არა აკადემიის კარი, ლაბორანტმა მიაგება:

— ლაბორატორიის გამგე გკითხულობდათ, პატივცემულო მარგარიტა!

— ახლავე ვეახლები.

პალტო გაიხადა, გაქათქათებული ხალათი გადაიცვა და გამგის კაბინეტის კარი მორიდებით შეაღო.

— მოდი, მოდი, ჩემო ჭაღარა ქალიშვილო,— მიეგება ყარყარაშვილს მოხუცი პროფესორი პლატონ გოგორიშვილი. მარგო მისი ყოფილი სტუდენტი იყო. პროფესორს ახლაც ახსოვს ჭაღარათმიანი პატარა გოგონა, რომელიც გულისყურით ისმენდა ლექციებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ლექციის დამთავრების შემდეგ კი პროფესორს სეტყვასავით აყრიდა შეკითხვებს. ყველაფრის გაგება და შესწავლა სურდა. გამოცდაზე კი მის სხარტ პასუხებზე პ. გოგორიშვილს კმაყოფილების ღიმილი ეხატებოდა სახეზე. პირველი ხუთიანიც სიამოვნებით ჩაუწერა მატრიკულში.

— მეცნიერებისათვის ყოფილხარ დაბადებული, ჭაღარა ქალიშვილო. შენ უნდა გაამართლო ჩემი იმედები, — უთხრა მაშინ მოწაფეს მასწავლებელმა. იმ დღიდან მარგარიტას უფრო გაუცხოველდა მეცნიერების შესწავლის სურვილი და მაშინვე დაერქვა ჭაღარა ქალიშვილი.

ახლაც მამობრივი სიყვარულით შეჰყურებდა პროფესორი თავის მოწაფეს და უმცროს ამხანაგს. ისინი 25 შრომის თანაავტორები არიან. მათივე შემოქმედებითი შრომის ნაყოფია ის, რომ დღეისათვის თურქმენეთის ქიმიურმა ქარხანამ რამდენიმე მილიარდი მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს.

— დღეიდან კიდევ ერთ ახალ საკითხზე ვიწყებთ მუშაობას, ჩემო მარგო. კობალტის კომპლექსნაერთები უნდა შევისწავლოთ.

მარგარიტას გული სიხარულით აუძგერდა, თქმით კი მხოლოდ ორი სიტყვის თქმა მოახერხა:

— დიდად მოხარული ვარ, პატივცემულო პროფესორო.

— ჰო, მართლა, ხომ არ დაგავიწყდა, ოთხ საათზე ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთათვის ლექცია რომ უნდა წაიკითხო ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას შესახებ. აბა, შენ იცი, როგორ დაგვატკბობ შენი ოქროპირობით.

მარგარიტას ლოყები შეუფაკლდა, გამგეს თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და კაბინეტიდან გავიდა.

ლაბორატორიაში ამმრჩეველი ზ. იმნაძე უცდიდა. მ. ყარყარაშვილი 1947 წლიდან დღემდე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია. თავისი თავმდაბლობით, გულისხმიერებითა და ენერგიით დეპუტატმა [illegible] ტივისცემა და სიყვარული დიმსახურა. ახლაც დახმარების მისაღებად იყო მასთან ამომრჩეველი მოსული. მარგარიტამ რამდენიმე მითითება მისცა ლაბორანტებს და შემდეგ ღიმილით მივიდა ზ. იმნაძესთან. გულთბილად ჩამოართვა ხელი, მისკლის მიზეზი ჰკითხა.

— ბინა კატასტროფულ მდგომარეობაში მაქვს, შეკეთება სჭირდება და ვერაფერი მოიხერხებია — შესჩივლა ამომრჩეველმა. ყარყარაშვილი დაპირდა, რომ დღესვე ინახულებდა მის სახლს და შეძლებისამებრ დაეხმარე და. იმნაძე კმაყოფილი გამოეშვიდობა მას.

ამ დღეს დეპუტატს კიდევ რამდენიმე ამომრჩეველი ეწვია. ყარყარაშვილმა ზოგი დაარიგა, ზოგს გზა ასწავლა.

შესვენების საათია. მარგარიტამ პალტო გადაიცვა და პეტრიწოს ქუჩისაკენ გაემართა. ძველ ვიწრო ქუჩაზე ყარყარაშვილმა ძლივს მიაგნო იმნაძის სახლს. შენობაა ქვედა სართული მეტად დაზიანებული ჰქონდა. მისი დანგრევის შიშით მცხოვრებნი გახიზნულიყვნენ, კარფანჯრები სადღაც გადაემალათ. გაბზარულ კედლებში ქარი თავისუფლად დანავარდობდა.

დეპუტატი მობინადრეებს გაესაუბრა, ზოგიერთი რამ ჩაიწერა და კვლავ აკადემიაში დაბრუნდა. სამუშაო საათი იწურებოდა, როცა ტელეფონით გამოუძახეს.

— დღეს 6 საათზე საქალაქო საბჭოს გამწვანების მუდმივი კომისიის თათბირია, დასწრებას გთხოვენ, — უთხრა ლაბორანტმა.

მარგარიტამ უბის წიგნაკი ამოიღო, თვალი გადაავლო: 4 საათზე ლექციაა, 8-ზე ამომრჩეველთან შეხვედრა. მოასწრებს, საქალაქო საბჭოში ისეც მისასვლელია. საწერ მაგიდას მიუჯდა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე იმნაძის ბინის შესახებ განცხადების წერას შეუდგა.

საქალაქო საბჭოში, გამწვანების მუდმივი კომისიის თათბირის შემდეგ, დეპუტატმა ყარყარაშვილმა პირადად ინახულა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. დაპირდნენ — ამ დღეებში იმნაძის ბინას დროებით შეკეთებთ, ხოლო სულ მალე პეტრიწოს ქუჩის მცხოვრებლებს ახალ ბინებს მიეცემოთ.

ჭაღარა ქალიშვილი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა პროსპექტს, ზამთრისათვის უჩვეულო მზიანი დღე იყო. მზე იდგა დეპუტატის გულშიც. მას ხომ ახალი საჩუქარი მიჰქონდა თავის ამომრჩეველებთან.

...კლუბი ხალხით იყო გაჭედილი. ამომრჩეველები თავიანთი რჩეულის შესახვედრად ემზადებოდნენ. მ. ყარყარაშვილი ყველას მიესალმა, ის ხომ თვითეულ მათგანს პირადად იცნობდა. დეპუტატმა საქმის ცოდნით, უბრალოდ და გასაგებად მოუთხრო ამომრჩევლებს საქალაქო საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობაზე. გატაცებით, სიხარულით გაუზიარა მეგობრებს თავისი ოცნება მშობლიური ქვეყნის მომავალზე, ოცნება, რომელიც ხვალ უკვე ლამაზ სინამდვილედ უნდა იქცეს.

მ. ყარყარაშვილი კარგი მთქმელია, მაგრამ კარგი გამგონეც არის. იგი გულისყურით უსმენს ამომრჩევლებს, უბის წიგნაკში იწერს იმ საჭირბოროტო საკითხებს, რაც მათ აწუხებთ, ცდილობს ხვალაც შინაარსიანი და საქმიანი იყოს მისი დღე, ხვალაც დაეხმაროს ხალხს.

სახლში გვიან დაბრუნდა.

ოთახში მყუდროებაა. მაგიდაზე საათი წიკწიკებს. დედა ქოქებს აწკარუნებს სამზარეულოში. მარგარიტამ პალტო გაიხადა და ფანჯარასთან მივიდა.

ელნათურებით ციმციმებს თბილისი, ქუჩებიდან ყრუდ მოისმის მანქანების ხმა, ახალგაზრდების სიცილი, სიმღერა...

კარგია სიცოცხლე, კარგია, როცა ასე უყვარხარ ადამიანებს. მზად ხარ კიდევ უფრო თავდადებულად იმუშაო, კიდევ უფრო მეტი სიხარული და სარგებლობა მოუტანო მათ!

ზ. ჩილაჩავა.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

კარგი სახელმძღვანელო

ბუნებრივი და ხელოვნური ფიზიკური მეთოდები ფართოდ არის გამოყენებული როგორც ეფექტიანი, მასობრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა ხელმისაწვდომი გახდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის. საღდესოდ არ მოიპოვება თითქმის არც ერთი სამკურნალო დაწესებულება, სადაც ფიზიოთერაპიულ პროცედურებს არ იყენებდნენ.

ჩვენი კურორტები მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის ფართო ასპარეზს წარმოადგენენ. ექიმისათვის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ძირითადი საკითხების ცოდნა ისევე აუცილებელია, როგორც მაგალითად, რეცეპტურისა.

ქართულ ენაზე დღემდე არ იყო ფიზიოთერაპია-კურორტოლოგიის ერთი მთლიანი სახელმძღვანელო, რომელიც დააკმაყოფილებდა სამედიცინო ინსტიტუტის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე დახმარებას გაუწევდა ახალგაზრდა ექიმებს მათს პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ საყურადღებოა დოცენტ მ. ი. ნოდიას მიერ შედგენილი ზოგადი ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის სახელმძღვანელო.

ჩვენში გამოქვეყნებულია მრავალი მნიშვნელოვანი შრომა ფიზიოთერაპიის და, განსაკუთრებით, კურორტოლოგიის დარგში, მაგრამ თვითეული მათგანი რომელიმე კონკრეტული საკითხის განხილვას წარმოადგენს და ამ საგნის ზოგადი კურსის გამოკვეთილად შესწავლისათვის ვერ გამოდგება. მ. ი. ნოდიას წიგნი მიზნად სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს.

სახელმძღვანელოში მოკლედ აღწერილია ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ყველა საკითხი, მოყვანილია საჭირო ცნობები ფიზიკიდან, ფიზიკური ქიმიიდან, ფიზიოლოგიიდან, ჰიდროგეოლოგიიდან, მეტეოროლოგიიდან, კლინიკური დისციპლინებიდან, გადმოცემულია ამა თუ იმ მეთოდის მოქმედების მექანიზმი და სამკურნალო გამოყენების ტექნიკა სათანადო ილუსტრაციით.

წიგნში მართებულად არის აღნიშნული სამამულო მეცნიერების დიდი დამსახურება ფიზიო-बალნეო-კლიმატოთერაპიის განვითარებაში. ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური აგენტების მოქმედების ასახსნელად ავტორი ეყრდნობა სეჩენოვის, პოტკინის და პავლოვის ნერვიზმის პრინციპებს.

სახელმძღვანელოში განხილულია საკურორტო ფაქტორების გავლენის ზოგადი დებულებები და დახასიათებულია ადგილობრივი, რესპუბლიკური, საკავშირო მნიშვნელობის და ზოგიერთი საზღვარგარეთის კურორტი გასაგზავნ ავადმყოფთა ჩვენებისა და უკუჩვენების აღნიშვნით.

ავტორი ცდილობს ყოველი ფიზიკური აგენტის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ახსნას ნერვული მექანიზმებით, რისთვისაც იყენებს თანამედროვე ფიზიოლოგიურ მონაცემებს, თუმცა ეს განხილვა ზოგჯერ მეტად მოკლე და სქემატურია.

ავტორს საკმაოდ უსარგებლია ლიტერატურული წყაროებით. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში მინერალური წყლების სამკურნალო გამოყენების ისტორიისათვის კარგი იქნებოდა სათანადო ცნობების მოყვანა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის შრომიდან („ბალნეოლოგიური და ინჰალაციური მკურნალობა საქართველოში“, 1935 წ.). ავტორს, სამწუხაროდ, არ უსარგებლია ამ მნიშვნელოვანი ნარკვევით.

ნაშრომში აქა-იქ გვხვდება გაუმართავი გამოთქმები, რაც ვერ ამცირებს მის ღირსებას.

საერთოდ დოცენტ მ. ი. ნოდიას წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს და ახალგაზრდა ექიმებს ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ძირითადი საკითხების გარკვევაში.

პროფესორი ა. მინდაძე.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲔᲑᲘ

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ა. შერვაშიძის ახალი კომედია „პროვინციელი“.

პიესა ასახავს თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები მ. ჯალაღანია, ნ. კეკელაძე, შ. გეჯაძე და პ. ინწკირველი, მსახიობები მ. ჯანტერია, მ. ნაპირელი, ვ. ჩხაიძე, ს. ძიძაძე, ნ. საკანდელიძე, მ. შერვაშიძე, ლ. მოლაშვილი და სხვ.

პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ შ. ინასარიძეს, მხატვრობა — მ. ანდრონიკიდის, მუსიკა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ფარცხალაძეს.

• • •

ამ დღეებში თეატრმა თავის მორიგ ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა დრამატურგ გ. ივანიშვილის პიესა „ვეფაცამ დარეკა“. პიესა დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გრ. ლაღიძემ, მხატვრობა ეკუთვნის ა. ფილიპოვს, კომპოზიტორი — ო. გოგნაშვილი.

როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ა. მგელაძე, ხ. მეგრელიძე, ნ. თეთრაძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. გურგენიძე, ლ. აფხაზავა, გ. იმნაშვილი, ი. კიკაციშვილი, თ. სულხანიშვილი, ნ. კეკელაძე, ლ. სვანელი და სხვ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი 1955 წელს შეივსო ახალი ავტომატური საქსოვი მანქანებით: სართავ საწარმოში გამართეს მუდმივი მოქმედების რამდენიმე სართავი მანქანა, ახალი მექანიზმებით შეიცვალა აგრეთვე სამღებრო-გამომყვანი წარმოება. ყოველივე ამის შედეგად კომბინატის კოლექტივმა შარშან წინა წელთან შედარებით გამოუშვა 307,1 ათასი მეტრით მეტი ქსოვილი. წელს კომბინატში იწყებენ ახალი ასორტიმენტის მაუდისა და კამვოლური ქსოვილების ათვისებას, რისთვისაც საჭიროა როგორც ქსელის, ისე მასაქსელის დაგრეხა. მაგრამ საგრეხი მანქანები არ ჰყოფნით. საჭიროა აგრეთვე მაუდის საჩეჩი და კამვოლის საჩეჩსავარცხნი განყოფილებების შევსება ახალი მანქანებით.

შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად საწარმოებში საჭიროა სისტემატურად სრულდებოდეს მანქანა-დანადგართა დატვირთვის გეგმები. არ დაუშვათ მათი მოცდენა. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში მანქანა-დანადგართა მოცდენა, როგორც ტექნიკური, ისე განსაკუთრებით ორგანიზაციული მიზეზების გამო, ჯერ ისევ დიდია. მაგალითად, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში 1955 წლის 11 თვეში მანქანა-დანადგართა მოცდენამ 690.124 დაზგა-საათი შეადგინა, აქედან მოცდენის 31,9 პროცენტი გამოწვეული იყო ნედლეულის მოუმზადებლობით, ხოლო 26,3 პროცენტი მუშახელის ნაკლებობით.

სოციალისტურ საწარმოში პროდუქციის მოცულობის ზრდა უნდა ხორციელდებოდეს არა მუშათა რიცხვის გადიდების, არამედ შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში 1955 წელს 1954 წლთან შედარებით პროდუქციის მთელი ზრდის 68 პროცენტი განხორციელდა შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად, ხოლო 32 პროცენტი — მუშათა რაოდენობის მატების შედეგად.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს მუშათა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა არის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების მიზეზიცა და შედეგიც. ამ ორი მოვლენის ერთიმეორისაგან დაცილება არ შეიძლება, ისინი განუყოფელ დიალექტიკურ მთლიანობაში იმყოფებიან.

შრომის ნაყოფიერების ზრდაზე დიდად მოქმედებს სპეციალიზაციისა და კოოპერირების განმტკიცება. სოციალისტურ წარმოებაში აღნიშნული საქმის მოწესრიგებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1955 წლის ივლისის პლენუმმა, რომელმაც საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება დასახა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტუალურ, ეკონომიურად მიზანშეწონილ ფორმად.

მრეწველობის ცალკე დარგებისა და საწარმოების სპეციალიზაცია წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთ-ერთ ფორმას პროდუქციის ასორტიმენტის შემოფარგვლით და ერთგვაროვანი პროდუქციის გამოშვების გაძლიერებით.

კოოპერირება, როგორც მრეწველობის საწარმოთაშორისი კავშირის ფორმა, წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგს. მრეწველობის კოოპერირება, ფართო გაგებით, მოიცავს საწარმოთაშორისო კავშირურთიერთობის ყველა სახეს. ვიწრო გაგებით — კოოპერირება მოიცავს საწარმოო კავშირურთიერთობის მხოლოდ განსაზღვრულ მხარეს, კერძოდ მასალებითა და დეტალებით ურთიერთუზრუნველყოფას. კოოპერირების გეგმების შეუსრულებლობა იწვევს წარმოების რიტმულობის ჩაფუშვას და უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

საქართველოს სსრ მრეწველობის საწარმოთა დიდ ნაწილში ირღვევა პროდუქციის გამოშვების რიტმულობა უმთავრესად კოოპერირებულ საწარმოთა მიერ მომარაგების გეგმების შეუსრულებლობის გამო, რაც იწვევს იერიშობანას, კვეთებით მუშაობას. თბილისს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ 1955 წ

საბჭოთა ტექნიკური სპეციალისტები ინდოეთში

დელი, 3 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ იუწყება, საბჭოთა მენავთობეების, გეოლოგებისა და სამთამადნო საქმის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ინდოეთში ჩამოვიდა ინდოეთის შესაბამის დაწესებულებათა მოწვევით, ახლა ამთავრებს ინდოეთში მოგზაურობას, რომლის დროსაც საბჭოთა სპეციალისტები ეცნობოდნენ სხვადასხვა სამრეწველო ობიექტს და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა რაიონებს. საბჭოთა სპეციალისტები გაემგზავრებიან კალკუტას, სადაც იმუშავებენ მოსსენების შედგენაზე, რომელიც მათ უნდა წარუდგინონ ინდოეთის მთავრობას თებერვლის დასლევს.

მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციას

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ვოზ ოპერარია“, რომელიც რიო-დეჟანეიროში გამოდის, წერს, რომ ბრაზილიელი ხალხი სულ უფრო ნათლად ხედავს, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენა შეესაბამება ბრაზილიის დამოუკიდებელი განვითარების, პროგრესის, მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებს.

„ნ. ა. ბულგანინის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანასთან, — აღნიშნავს გაზეთი, — საეჭვბინ შეესაბამება ბრაზილიელი ხალხის უმრავლესობის მხურვალე მისწრაფებებს“.

გაზეთი კვლავ აქვეყნებს ბრაზილიის კონგრესის წევრთა და სავაჭრო და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომელნიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციას. ბრაზილიის სასოფლო-სამეურნეო კონფედერაციის თავმჯდომარემ, კონგრესის დეპუტატმა ირის მეინბერგმა განაცხადა:

„საჭიროდ მიმაჩნია ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან და ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. მსოფლიო ძალიან პატარაა ამისათვის, რომ ჩვენ უარი ვთქვათ ბაზარზე, განსაკუთრებით ისეთ უზარმაზარ ბაზარზე, როგორიც არის საბჭოთა კავშირი“.

„ეოზ ოპერარია“ იუწყება, რომ სსრ კავშირთან ბრაზილიის ურთიერთობის აღდგენას მოითხოვს ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე ბრაზილიის ყოველ კუთხეში.

ციკი ამინდი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 3 თებერვალი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, გუშინ მთელ დღეს იუგოსლავიაში ყველგან, გარდა ადრიატიკის სანაპიროს სამხრეთი ნაწილისა, ქარბუქი მძვინვარებდა, რასაც თან ახლდა ძლიერი ყინვა. უკანასკნელი ცნობების თანახმად, მაკედონიაში შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა. შეჩერდა აგრეთვე ნაოსნობა ადრიატიკის ზღვის ცენტრალურ და შუა ნაწილში. ცივი ჰაერის ნაკადები, რომლებმაც მოიცვეს ადრიატიკის სანაპიროს ჩრდილოეთი ნაწილი, გავრცელდა აგრეთვე ცენტრალურ ნაწილზე— დალმაციაზე. ყინვისა და თოვლისაგან კუნძულებსა და სანაპიროზე ძლიერ დაზიანდა ნუშისა და ატმის ხეები, რომლებიც უკანასკნელ დღეებში აყვავდა. ზოგიერთ კუნძულზე თოვლის სიმაღლე ნახევარ მეტრს აღწევს. ქალაქ სპლიტში (დალმაცია) წელს პირველად ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მოვიდა თოვლი. როგორც იუწყებიან, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თოვლის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას სამ მეტრს აღწევს.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

ბუდაპეშტი, 3 თებერვალი. (საკდესი). ამ ბოლო დროს წარმატებით მიმდინარეობდა სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც იმით დამთავრდა, რომ 1956 წლის 3 თებერვალს ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1956 წლისათვის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს საქონლის ურთიერთმიწოდების მნიშვნელოვნად გადიდებას 1955 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი უნგრეთს მიაწვდის ბამბას, კოქსს, რკინის მადანს, ფეროშენადნობებს, ხე-ტყის მასალას, სასუქს, სამრეწველო მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ავტომობილებს, ბუთუღა საკისრებსა და უნგრეთის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონელს.

უნგრეთი საბჭოთა კავშირს მიაწვდის საზღვაო და სამდინარო გემებს, საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობას, რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას, ზოგიერთი სახეობის სამრეწველო მოწყობილობას, აგრეთვე ქსოვილებსა და სხვა საქონელს.

ოქმს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა უნგრეთში ნ. პ. მოისეენკომ, უნგრეთის მხრივ—საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ლ. გაიმ.

ბულგარეთის პროგესები შეერთებული შტატებისადმი

სოფია, 4 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის დეპუშათა საგენტო იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაფრინავენ სპაპერო ბუტრები, რომლებიც ლუბურვილი ფოტომოწყობილობითა და რადიოტექნიკური მოწყობილობით და რომლებშიც არის მტრული პროპაგანდისტული მასალები. მიმდინარე წლის 13 იანვრიდან 31 იანვრამდე საპაერო თავდაცვამ ბევრი ბუტრი ჩამოაგდო ბულგარეთის ტერიტორიაზე.

ბუტრები დიდი ზომისაა და მიაქვთ რამდენიმე ასეული კილოგრამი ტვირთი. მათ აქვთ ფოტოკამერა, რადიოგადამცემი, რადიომიმღები და რადიოზონდი. ჩამოგდებული ბალონების დეტალებსა და მოწყობილობას აქვს მარკა „USA“, რაც მოწმობს მათს ამერიკულ წარმოშობას.

ბუტრების მოძრაობის მიმართულება და მათი ტექნიკური მოწყობილობა ცხადყოფს, რომ მათ უშვებენ დასავლეთ გერმანიაში და მათი დანიშნულებაა აწარმოონ დაზვერვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამ ბუტრების დიდი რაოდენობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნორმალურ საპაერო მიმოსვლას ბულგარეთის ტერიტორიაზე.

ასეთი ბუტრების შემოგზავნა ბულგარეთის ტერიტორიაზე უხეშად არღვევს საერთაშორისო კონვენციებს საპაერო ტრანსპორტის შესახებ და მტრული ქმედებაა, რომლითაც ირღვევა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საპაერო სივრცის ხელშეუხებლობა და საფრთხეში ამყოფებენ მისი მოქალაქენი.

ამის თაობაზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შეეცადინა მისიის მეშვეობით სოფიაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა პროტესტი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წერილი, რომელშიც ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ასეთი მოქმედება შეუთავსებელია საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებთან და იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ნაკისრი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა

ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა ... ...